№ 18
სამშაბათი, 23 იანვარი, 1901 წ.

გაზეთი ღირს:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური
„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1901

# ივერია

[illegible] ტფილისის [illegible] ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 18
სამშაბათი, 23 იანვარი, 1901 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.
„ივერიის“ ტელეფონი № 227.

---

**თავ. ბეჟან დავითის ძე და მეუღლე მისი ქნ. ნინო ალექსანდრეს ასული წერეთელნი** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ გვამის განსვენება ახლად გარდაცვალებულის შვილის

## საშასი

მოხდება სამშაბათს, 23 იანვარს, დილის 10 საათზედ, სადგომიდგან (ჭავჭავაძის ქუჩა, № 12) ტფილისის კადეტთა კორპუსის ეკკლესიაში, შემდეგ რკინის გზის სადგურზედ, საიდგანაც წაასვენებენ დაბა საჩხერეს საგვარეულო აკლდამაში დასაკრძალავად.

(1—19—1)

---

**თავადნი ტიმოთე და ისიხი ნაკაშიძენი და თავადის დიმიტრის ასული ანნა ნაკაშიძე,** გულითადის მწუხარებით აუწყებენ რა ნათესავთა და ნაცნობთ გადაცვალებას ძვირფასის მამის

## თავ. დიმიტრი გიორგის ძის ნაკაშიძისას,

სთხოვენ მობრძანდნენ გვამის განსვენებაზედ გარდაცვალებულის სადგომიდგან საპარჩხიის სასაფლაოზედ ქუთაისში, 23 იანვარს, ნაშუადღევის ოთხ-საათზედ.

(1—6.—1)

---

**ქნ. ნატალია იოსების ასული ციციშვილისა შვილებითურთ** გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას საყვარელის მეუღლის

## თავ. დავით ივანეს ძის ციციშვილისას

და სთხოვს მობრძანდნენ დასაფლავებაზედ დასასწრებლად სოფ. ქვემო-ნიჩბისში 25 იანვარს, დილის 10 საათზედ.

(2—20—1)

---

## ქართული თეატრი

**ხუთშაბათს, 25 იანვარს, 1901 წ.**

### ბენეფისი

ვ. გამყრელიძისა და გ. კანდელაკისა

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ ვლ. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით და რეჟისორობით წარმოდგენილი იქნება

**პირველად ახალი და დაჯილდოებული პიესა**

## იანიჩარი

ისტორ. დრ. 5 მოქმედებად და 7 სურათად დ. ნახუცრიშვილისა.

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: გაბუნია ცაგარლისა, ჩერქეზიშვილი, კარგარელი, მდივანი, გარელი, ბ-ნნი: ვლ. ალექსი-მესხიშვილი, სვიმონიძე, გამყრელიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, კანდელაკი, ურუშაძე, ავალიანი, მირიანოვი, იმედაშვილი, სარჯველაძე, იორდანოვი, ბეგლარა და სხვანი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივი. **დასაწყისი 8 საათზედ.**

რეჟისორი **ვ. გუნია**

შემდეგი წარმოდგენა ბენეფისი კ. მესხისა. წარმოდგენილი იქნება „**მადამ-სანჟენი**“. მზადდება წარმოსადგენად „**ორი გმირი**“ —ციხის საიდუმლო.

---

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის
მიხეილ გედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე
კვირა დღეების გარდა

**დილით:**

**ვ. ი. ჯიჯინაძე**—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

**მიხეილ გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 საათ.

**ნ. ა. გულინი.** ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 საათ.

**ი. პ. ახალშენიშვილი**—კბილის სნეულებანი. 10—2-მდის.

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 11—12 საათ.

**ექიმი ქალი მ. ს. ბაქრაძე**—ბავშვებისა 11—12.

**დ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

**მ. გ. ბეჟირგანოვი,** შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ.

**ვ. ლ. მარკევიჩი,** საქირურგო.—$12^{1}/_{2}$—$1^{1}/_{2}$ საათ. სამშაბათობით 3—4.

**ი. დ. ბეგთაბეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$1^{1}/_{2}$—2 საათ.

**საღამოთი:**

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

**ა. ა. ბელოგოლოვი.** შინაგანი (სტომაქის ავადმყოფობანი) და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ. ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი **მიხეილ გედევანიშვილი**

---

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ზ. ა. ნავასარდიანი.** 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ყ. ე. ჩიქოვანი.** 9—10 სათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაგანახიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

**ძ. ი. გძელიშვილი.** 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—$1^{1}/_{2}$ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

**საღამოობით:**

**ნ. ნ. როსტომბეკოვი.** 5—6 საათ. საქირურგო და კანისა.

**ა. ნ. შპაკოვსკი.**—6—7 საათ. ნერვებით ავადმყოფთ (ელექტროტერაპ). და ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ.

**გ. ა. თარხანოვი**—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—8 ს.

**ბ. ა. ნავასარდიანი.** $7^{1}/_{2}$—8 ს.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ო. ტ. არვანიტაკი**—11—1 დღ. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра Навасардіана.
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

---

### მთავრობის განკარგულებანი

უმაღლესად ებოძათ ვერცხლის მედლები: ლანჩხუთის ნორმალურ სკოლის ზედამხედველს არსენ წითლიძეს, ბამლეთისას—ერმოლაოზ შარაშიძეს, კულაშისას—ილარიონ ნინუას, დიდ-ჯიხაიშისას—დავით დევიძეს, ლიხნენისას—თომა ეშიბაიას, დარჩელისას—იოსებ ქობალიას; მასწავლებელთ: ლანჩხუთისას—კირილე წილოსანს და ქისისხევისას დავით რცხილაძეს.

## ახალი ამბავი

⁂ კავკასიის სამეურნეო საზოგადოების ქუთაისის განყოფილებას აზრადა აქვს ადგილობრივ თეატრის დარბაზში შეუდგეს სასოფლო-მეურნეობის ლექციების კითხვას. ლექციებს კვირაში ერთხელ ან ორჯელ წაიკითხავენ. ვ. ა. სტაროსელსკი წაიკითხავს ქუთაისის გუბერნიის მევენახეობის შესახებ, სტ. ნ. ტიმოფეევი—სიმინდის მოყვანის შესახებ ქუთაისის გუბერნიაში, ა. გ. ვუჩინო ჩაისა და სხვა ახალ მცენარეთა მოშენების შესახებ, კ. კ. ჯაფარიძე—ბამბის მოყვანის შესახებ ქუთ. გუბერნიაში, ნ. ტ. მკურნალი—ფრინველთა მოშენების და მეაბრეშუმეობის შესახებ, ე. ი. ვაწაძე—მებოსტნეობის შესახებ, თავ. მ. გ. წულუკიძე და ე. ა. ლიუბინეცკი—მერძეობის შესახებ, ლექციების კითხვის დღე დანიშნული იქნება მაშინ, როცა განთავისუფლდება თეატრის შენობა წარმოდგენებისაგან.

⁂ კვირას, 21 იანვარს, მოხდა დურგალთა ამხანაგობის „შრომის“ წევრთა საზოგადო კრება, რომელსაც უნდა განეხილა სარევიზიო კომისიის მოხსენება გამგეობის 1900 წლის მოქმედების შესახებ, აგრეთვე ანგარიში საზოგადოების შემოსავალ-გასავლისა ამა 1901 წლის 1 იანვრამდე. ამავე კრებაზედ დანიშნული იყო გამგეობისა და სარევიზიო კომისიის ახალ წევრთა არჩევანები. კრებამ პირველად განიხილა სარევიზიო კომისიის მოხსენება წარსულ წელს საზოგადოების ზარალისა და იმის მიზეზთა შესახებ. 1900 წლის 1 იანვრისათვის საზოგადოებას მოგება ჰქონდა 542 მან. 8 კაპ. აღნიშნულ დროდგან 11 მარტამდე ისე ცუდად წასულა საზოგადოების საქმე, რომ უზარალნიათ 280 მან. 75 კაპ. ამის მიზეზად როგორც სარევიზიო კომისია, ისე გამგეობის თავმჯდომარე ბ-ნი ახნაზაროვი და მისი ამხანაგი ბ-ნი ტარუაშვილი ასახელებდნენ უმთავრესად მაშინდელ გამგეობის იმ წევრთა დაუდევრობასა და უთავბოლობას, რომელთაც სახელოსნოს საქმეების თვალყურის გდება ჰქონდათ დავალებული. დიდის ხნის კამათის შემდეგ საზოგადოებამ პატივსადებად მიიღო დასახელებული ზარალის გამომწვევი მიზეზები და შეუდგა ანგარიშის განხილვას, რომელიც შეუცვლელად დაამტკიცა. 1901 წლის 1 იანვრისათვის საზოგადოებას მოგება ჰქონდა სულ 463 მან. 73 კაპ. ანგარიშის დამტკიცების შემდეგ ამოირჩიეს გამგეობის წევრებად გიორგი ბერძნიშვილი (20 ხმ.), დავით ვიგაური (16 ხმ.) და ვასილ მინდიაშვილი (16 ხმით.) მათ კანდიდატებად: ელიკაშვილი, ცხვეთაძე და მიკირტუმოვი. არჩევანების დაწყებამდე არჩევანების წინააღმდეგნი იყვნენ ა. ახნაზაროვი და ს. ტარუაშვილი, რომელთაც განაცხადეს რომ არჩევანში მონაწილეობის მიღების ნება ჰქონდათ მხოლოდ იმათ, ვისაც 25 მან. საწევრო ფული აქვთ შეტანილი, რადგანაც ამ არჩევანებში ყველა წევრმა მიიღო მონაწილეობა, არჩევანებს წესდებით უკანონოდ ვსცნობთ და მონაწილეობას არ ვიღებთო.

ამას გარდა, ბ-ნმა ა. ახნაზაროვმა წერილობით უარი განაცხადა ყუთი დაედგა რაიმე თანამდებობაზედ. კრებამ აირჩია აგრეთვე ბ-ნი ი. ქურდიანი, რომელმაც დახმარება უნდა გაუწიოს ანგარიშების შედგენისა და წიგნების წარმოების დროს. სარევიზიო წევრების არჩევანი კრებამ ვეღარ მოასწრო, რადგანაც უკვე გვიან იყო და ამისთვის ეს არჩევანები გადასდო კვირას, 28 იანვრისათვის.

⁂ კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს კ. პ. იანოვსკის მარტში მოელიან პეტერბურგიდგან.

⁂ საქმე ტფილისის საბჭოს ხმოსნის თავ. ნ. ზ. თუმანოვისა, რომელსაც სიყალბის ჩადენა ჰბრალდება, გარდაეცა კავკასიის მთავარ-მართებლის კანცელარიას განსახილველად.

⁂ როგორც „კვალს“ მოსკოვიდგან ატყობინებენ, უკვე დაუბეჭდიათ მე-III ტომი პროფესორის ხახანაშვილის ქართულ სიტყვიერების ისტორიისა, რომელიც შეიცავს საქართველოს მე-XVI—XVIII საუკუნის მწერლობის განხილვას. წიგნი დაუბეჭდიათ მოსკოვის უნივერსიტეტის ხარჯით.

⁂ შაბათს, 27 იანვარს, „ტფილისის კრუჟოკის“ დარბაზში გამართული იქმნება კონცერტი ტფილისის ბავშვთათვის მზრუნველ საზოგადოების სასარგებლოდ.

⁂ ნავთის მწარმოებელთა საბჭოს დაუდგენია მომავალ საიუბილეო სასოფლო-სამეურნეო გამოფენისათვის 5000 მან. გადასდოს. საბჭო სთხოვს კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას შეატყობინოს, რა მდგომარეობაშია ამ ჟამად გამოფენის საქმე.

⁂ მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროში ლაპარაკი აღუძრავთ იმის შესახებ, რომ კავკასიის სამეურნეო საზოგადოების მომავალ საიუბილეო გამოფენის გასამართავად გადადებულ იქმნას ხაზინიდგან 15 ათასი მან.

⁂ უმაღლესად დამტკიცებულ იქმნა სახელმწიფო საბჭოს დადგენილება იმის შესახებ, რომ ბათუმის ნავთ-სადგურის გამგეობის დროები-

თი შტატის მოქმედება 1902 წლის 1-ლ იანვრამდის დარჩეს და სახელმწიფო ხაზინიდგან ამ შტატის შესანახად 27,000 მან. იქმნას გადადებული.

⁂ კავკასიის სამკურნალო გამგეობა ამ ჟამად ადგენს პროექტს გადამდებ სენით ავადმყოფთა სამკურნალოსას მთელ ამიერ-კავკასიისათვის.

⁂ ხვალ, 24 იანვარს, ქალაქის გამგეობაში სხდომა ექმნება იმ განსაკუთრებულს კომისიას, რომელსაც მინდობილი აქვს გამგეობის მოსამსახურეთ ჯამაგირების მომატების საქმის განხილვა.

⁂ დღეს, 23 იანვარს, ტფილისის სამოსამართლო პალატის პირველ სისხლის სამართლის დეპარტამენტში განსახილველად დანიშნულია საქმე თავ. კონსტანტინე და პეტრე წულუკიძეებისა, რომელთაც სასჯელთა დებულების მე-270 მუხლში აღნიშნულის დანაშაულობის ჩადენა ჰბრალდებათ.

⁂ კვირას, 21 იანვარს, ავჭალის სახალხო თეატრში სცენის მოყვარეთ წარმოადგინეს ბ-ნ გ. სუნდუკიანცის ოთხ მოქმედებიანი კომედია „ხათაბალა“. თავიანთი როლები თითქმის ყველა წარმომდგენელს კარგად დაესწავლა, რის გამოც წარმოდგენამ გვარიანად ჩაიარა. წარმოდგენას ჩვეულებრივ ხალხი ძალიან ბევრი დაესწრო.

⁂ მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს დაუმტკიცებია კავკასიის საფილოქსერო კომიტეტის მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვა, რომლითაც ინსტრუქტორთა რიცხვი შემცირებული იქმნება.

⁂ 21 იანვარს, სასწავლებელთა კომისიას, განუხილავს რა ინჟენერ შახნაზაროვის მიერ წარდგენილი პროექტი იმის შესახებ, რომ პუშკინის წიგნთ-საცავისათვის მეორე სართული დაადგან ქალაქის შენობას ალექსანდრეს ბაღში, დაუდგენია, ეს პროექტი გარდასცეს განსაკუთრებულს კომისიას, ალიხანოვისა, ბაბოვისა და ლისიციანისაგან შემდგარს დაწვრილებით განსახილველად.

⁂ პარასკევს, 26 ამ თვეს, ტფილისში მყოფი საოპერეტო დასი ნიჟიერ არტისტის ტუმანსკის საბენეფისოდ, წარმოადგენს ახალ ოპერეტს „მადამ-სანჟენს“. შინაარსი ამ ოპერეტტისა აღებულია სარდუს ამავე სახელის კომედიიდგან. ოპერეტტის შემდეგ წარმოდგენილი იქმნა სცენა-კომედია „დავა“-დგან, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ თვით მობენეფისე და ქართულ დასის არტისტები აბაშიძე და მესხი.

⁂ რადგანაც ვერაზედ ქალაქის ის ადგილი, რომელიც საინჟინერო სამმართველოს ჰქონდა აქამდე სასარგებლოდ, ამ უკანასკნელს მთავრობის განკარგულებით უნდა ჩამოერთვას და გადაეცეს იოანე ღვთის მეტყველის სახელობის ეკკლესიის სამზრუნველოს სკოლის შენობის ასაგებად, საინჟინერო სამმართველომ შუამდგომლობა აღძრა საგუბერნიო სამმართველოს წინაშე, რომ ქალაქმა იმ ადგილის ნაცვლად სხვაგან სადმე ან ნიკოლოოზისა და ან ანდრეევის ქუჩაზედ დაუთმოს ადგილი. ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელის წინადადებით ეს შუამდგომლობა ქალაქის გამგეობამ განიხილა ამ დღეებში და, მიიღო რა სახეში, რომ არსად ქალაქს თავისუფალი ადგილი არა აქვს, დაადგინა უარი გამოუცხადოს საინჟინერო სამმართველოს შუამდგომლობაზედ.

⁂ როგორც „ახ. მიმ.“-ს ქუთაისიდგან სწერენ, ფოთის ქალაქის თვითმმართველობისათვის ნება დაურთავთ 250,000 მან. საობლიგაციო სესხი აიღოს მისავალ გზების გასაკეთებლად.

⁂ ამავე გაზეთს ატყობინებენ ქუთაისიდგან: ხმა დადის, რომ საგანგებო საქმეთა გამომძიებელს მიენდო ერთის საზოგადო მოღვაწის საქმის გამოძიება, რომელსაც თავად-აზნაურობის ყალბი საბუთის ქაღალდების შედგენა ჰბრალდება.

⁂ შაბათს, 27 იანვრისათვის, ტფილისის სამოსამრთლო პალატის პირველ სისხლის სამართლის დეპარტამენტში, სხვათა შორის, განსახილველად დანიშნულია საყურადღებო საქმე ქალაქ სიღნაღის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის უფროსად ნამყოფის კაზნაგულოვისა და მისის თანაშემწის რომანოვისა, რომელთაც სამსახურის დროს ბოროტ-მოქმედების ჩადენა ჰბრალდებათ.

⁂ ტფილისში ჩამოვიდა სპარსეთიდგან კავკასიის მთავარმართებლის საბჭოს წევრი სულთან-კრიმ-გირეი, რომელიც შარშან გაგზავნილი იყო სპარსეთში „აღმოსავლეთის საზოგადოების ექსპედიციასთან“ ერთად.

⁂ ზემო-ავჭალის მცირე-წლოვან დამნაშავეთა ახალშენის შესანახად 3,134 მან. ყოველწლიური შემწეობა აღმოუჩენიათ.

⁂ რედაქციამ მიიღო „ვაი შენს დამკარგავს“ ამბავი ვ. ბარნოვისა, გამოც. ძმ. იმედაშვილთა-მიერ. წიგნაკი პატარა ფორმატისაა, 32 გვერდს შეიცავს და ჰღირს ერთ შაურად.

⁂ ტფილისის პოლიცმეისტერს დაუვალებია მესამე საპოლიციო ნაწილის ბოქაულისათვის, მიანდოს პოლიციის მოხელეს თავ. ბეგთაბეგოვს თვალყური ეჭიროს, რომ იარმუკაზედ ყასბებმა დადებულ ნიხრზედ ჰყიდონ ხორცი, ვაჭრებმა სუფთად შეინახონ დუქნები და სხვ.

⁂ დიდუბეში, შაბათ საღამოს, 20 იანვარს, გორის მაზრის მცხოვრებელს ალექსანდრე ანდრიას ძეს კურტაშვილს სიმთვრალის დროს დანით მძიმედ დაუჭრია მუცელში ტფილისის მცხოვრების დოქტიანოვის ცოლი ანნა, რომელიც რკინის გზის სამკურნალოში იქმნა გაგზავნილი. დოქტიანოვი საშიშ მდგომარეობაშია.

⁂ შაბათს, 20 იანვარს, პოლიციის მე 8 ნაწილში, პანასკვიჩის ქუჩაზედ, ბელიევის სავაჭრო სახლიდგან ვიღაც ბოროტ-განმზრახველთ მოუპარავთ 80 ცარიელი ტომარა, ღირებული სულ 40 მან. პოლიცია მაშინვე შეუდგა გამოძიებას და კიდეც შეიპყრო ქურდები, რომელნიც აღმოჩნდნენ ქ. ტფილისის მცხოვრებნი არშაკ სერგოს ძე ნადირაშვილი, ივანე მიხეილის ძე გოგიძე, იოსებ ხანნიევი და ქ. სიღნაღის მცხოვრები ზაქარია ქურდოვანიძე. ქურდებს ტომრები გაეყიდნათ პოლიციის მე-6 ნაწილში, საიდაც უკვე აღმოაჩინეს და დაუბრუნეს მეპატრონეთ.

⁂ ამავე დღეს პოლიციის მე-5 ნაწილში მცხოვრებთ მიხაილოვისა და ვასილ სტეფანოვისათვის მოუპარავს სხვა-და-სხვა ნივთები ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებს აზნ. დავით წულუკიძეს, რომელიც უკვე დააპატიმრეს და მეტეხის ციხეში ჩასვეს. წულუკიძე გამოტყდა და განაცხადა, რომ ნივთები ვიღაც გალუსტოვს მივაბარეო. ნივთები პატრონებს დაუბრუნეს.

⁂ კვირას, 21 იანვარს, მუხრანის ქუჩაზედ ბ ნ ი. ალხაზიშვილის სახლში დანიშნული იყო „ამიერ-კავკასიის ფარმაცევტთა ამხანაგობის“ წევრთა საზოგადო კრება ზოგიერთ მიმდინარე საქმეების განსახილველად, მაგრამ რადგანაც კრებაზედ საკმაო წევრთა რიცხვი არ დაესწრო, კრება გადაიდო 28 იანვრისათვის.

⁂ შაბათს, 20 იანვარს, პოლიციის მე-10 ნაწილის უმცროსი მოხელე იოსებ გაგნიძე პოლიციის მეექვსე ნაწილში აპატიმრებდა გაქცეულს ქურდს სპარსეთის ქვეშევრდომს სანდრო სულხანოვს. სულხანოვმა დრო მოიხელა და იარაღით დასჭრა მძიმედ გაგნიძე, რომელიც მიხეილის სამკურნალოში იქმნა გაგზავნილი შემწეობის აღმოსაჩენად. სულხანოვი გაიქცა და ჯერ ვერ უპოვნიათ.

## წერილი თელავიდგან.

14 იანვარი თელავის წმ. ნინოს ქალთა სასწავლებელმა ჩვეულებრივად იდღესასწაულა. წირვის შემდეგ დეკანოზის ხელაშვილის-მიერ გარდახდილ იქმნა სამადლობელი პარაკლისი, რომელზედაც მოსწავლე ქალთა გუნდი გალობდა ბ-ნის ახვლედიანის ლოტბარობით. წირვასა და პარაკლისს დაესწრნენ: გამგეობის თავმჯდომარე ქ-ნი ს. ს. განსევიჩისა, მაზრის თ-დ აზნაურთა წინამძღოლის მოადგილე თ-დი ქობულოვი, მომრიგებელი შუამავალი თ-დი ჭავჭავაძე, მაზრის უფროსი ბ-ნი განსევიჩი, ყველა წოდების წარმომადგენელნი და მოსწავლეთა მშობელნი. წაკითხულმა ანგარიშმა ამცნო საზოგადოებას, რომ სასწავლებლის ეკონომიური მდგომარეობა თანდათან წარმატებაში შედის. 1894 წელს სასწავლებელს დაკეტვას უპირებდნენ, რადგანაც არა თუ წლიური შემოსავალი იყო გაფლანგული, არამედ თვით ძირის ფული (ფონდი) ვარანცოვისა, ჭავჭავაძისა და გრიბოედოვისა სულ 12,350 მან. ყუაზედ იყო მიმდგარი. გამგეობის ახალმა თავმჯდომარემ ქ-მა სოფიო სტანისლავის ასულმა განსევიჩისამ ექვსის წლის გამგეობით დაუბრუნა სასწავლებელს ძირის ფული და 6,000 მან. კიდევ სხვა დაამატა. წარსულის წლის შემოსავლიდგან გადაურჩენიათ 2,000 მან., ასე რომ ახლა სასწავლებელს ძირის ფულად აქვს 18,350 მან. და 991 მან. ნაღდი ფული მიმდინარე ხარჯისათვის.

მომხსენებელმა ბ-მა სოგინმა თავის ანგარიში დაათავა მოსაზრებით, რომ გამგეობას დასჭირდება სწავლის ფულის მომატება და პანსიონში შესატანი ფულის გადიდება, რადგანაც თელავში ყველაფერი თა-და თანობით ძვირდება; ამიტომ საჭიროა ადრევე მოფიქრება და მომზადება, რომ სიძვირემ სასწავლებლის არსებობა განსაცდელში არ ჩააგდოსო. ყველა ეს ჭეშმარიტებაა, მაგრამ გამგეობამ არ უნდა დაივიწყოს ანდერძი სასწავლებლის დამფუძნებელისა, რომელშიაც ნეტარ-ხსენებული კნ. ვარანცოვისა ცხადად ჰხატავს, რომ სასწავლებლის დანიშნულებაა მისცეს გასაწყლებულ თ-დ-აზნაურთ და მოხელეთ საშუალება თავისის ქალიშვილების ღირსეულად აღზრდისა. წარმოვიდგინოთ, რომ გამგეობამ სწავლისა და პანსიონში შესატანი ფასი მოუმატა. ამას ხომ ის შედეგი მოჰყვება, რომ სასწავლებელში შეძლებულ თ-დ-აზნაურთა და მდიდარ მოქალაქეთა ქალიშვილები მოიყრიან თავს, რომელთა მშობლებსაც არ გაუჭირდათ შესატანი ფულის გადახდა, და საწყალ თ-დ-აზნაურთა და მოხელეთა

---

# ფელეტონი

## მეცხრამეტე საუკუნე

### ცვლილება კაცობრიობის კულტურისა

(წერილები ინგლისიდგან საკუთარის თანამშრომლისა).

### I

წავიდა, ისტორიას ჩაჰბარდა იგი გასაოცარი მე-19 საუკუნე; საუკუნე, რომელმაც ცხოვრება კერძო კაცისა, საზოგადოებისა და მთლად კაცობრიობისა უფრო მეტად შესცვალა, ვიდრე ერთად აღებულმა წარსულმა საუკუნეებმა. ევროპამ განვლილ საუკუნეში ისეთი გამოკვლევანი და აღმოჩენანი მოახდინა ქონებისა, გონებისა და ზნეობის სამფლობელოებში, რომ თანამედროვე თაობა ევროპისა და ამერიკისა სცხოვრობს, მუშაობს, სწავლობს, დროს ატარებს, თითქმის სჩხუბობს და ერთმანეთს ანადგურებს სხვანაირად, ვიდრე სცხოვრობდა, მუშაობდა და ჩხუბობდა მე-18 საუკუნის დასასრულისა და მე-19 საუკუნის დასაწყისის თაობა.

რა მხარეც უნდა ავიღოთ ცხოვრებისა, ნება-უნებურად გვაკვირვებს და გვაოცებს ის სიმარტივე, მოწყობილება და სიიაფე, რომელიც ამ ახალმა აღმოჩენებმა და გამოკვლევებმა შეიტანეს ცხოვრებაში.

აი რამდენიმე მაგალითი:

1. 1801 წელს ყველა—მდიდარი და ღარიბი—ცეცხლს აჩენდა ტალ-კვესის შემწეობით; ან ყოველ დღე ხმარობდნენ ტალ-კვესს, ან ერთხელვე გაჩენილ ცეცხლს გაუქრობლად ინახავდნენ. ძველ რომში ცეცხლის შენახვა ვესტალთა სამღვთო ვალდებულებასა და საქმეს შეადგენდა... მერე როგორ გადააქცევდნენ ხოლმე ტალ-კვესით გაჩენილ ცეცხლს ალად? — მდიდრები მოკიდებულ აბედს ადვილად ასანთებ ნივთიერებაში ახვევდნენ და საბერველებით აჩაღებდნენ ცეცხლს; ხოლო ღარიბები—იმავე აბედს ხმელს ბალახში ახვევდნენ და ჰაერში იქნევდნენ, ან კიდევ საკუთარ საბერველს—ფილტვებს—იშველიებდნენ და, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, უქშუტუნებდნენ. ეხლა?—ეხლა გვაქვს წუმწუმა (გამოგონებული 1832 წელს), ორი ურთ-ერთ ამთები გაზი, ელექტრონი.

2. რით ანათებდნენ ღამის წყვდიადს მაშინ?—გვირგვინოსანთა და უმდიდრესთ ენთოთ წმინდა, ხანქონის სანთლები და სალამურები, ღარიბებს—სალამურები, კვარი, ჩირაღდანი.—მე-19 საუკუნემ-კი მოგვცა სტეარინი, ნავთი, გაზი, ელექტრონი, ამ საუკუნემ ქუჩები და გზებიც-კი გაანათა.

3. როგორ ჰკერავდნენ ტანისამოსს და რას ნიშნავდა ღარიბისა და ზოგჯერ მდიდრისთვისაც-კი ახალის ტანისამოსის შეკერა?—უნდა დაემზადებინათ დასართავი, დაერთოთ ძაფი, მოექსოვათ და მხოლოდ ამის შემდეგ შესდგომოდნენ ხანგრძლივ მუშაობას ნემსით. ასეთ პირობებში ახალი ტანისამოსი საოცარ მოვლენას, დღესასწაულს შეადგენდა. ეხლა?—ბამბის მთელ საპალნეს მანქანის ერთ განყოფილებაში ჰყრიან, ხოლო მეორე განყოფილებიდგან იღებენ სხვა-და-სხვა ძაფის მზად დახვეულ გორგოლებს. ამ გორგოლებს აწყობენ სხვა მანქანაში, რომელიც დანიშნულებისამებრ, მეორე მხარეს აწვდის მუშას ან ფარდებს, ან ლენტებს, ან კიდევ ქსოვილს. სხვა მანქანები ჰლებავენ, სჭრიან, ჰკერავენ... ყველა ამან საქონელი და ტანისამოსი იმდენად გააიაფა, რომ არშინი კისეია, რომელიც 1801 წელს მანეთად და მეტად ფასობდა, დღეს 4, 5 კაპეიკად ჰფასობს; შეკერილი ტანისამოსი, რომელიც 75—100 მანეთად იყიდებოდა, დღეს 25—30 მანეთად იყიდება, ხოლო მდარე ღირსებისა—10—12 მანეთადაც-კი.

4. როგორ ამუშავებდნენ მიწას, ხნავდნენ, სთესავდნენ, სთიბავდნენ, მკიდნენ, ჰლეწავდნენ, ჰფქვავდნენ?—ისევე, როგორც დღეს ჰხნავს და ლეწავს ღარიბ გლეხთა უმრავლესობა. ამა სოფლის უძლიერესნი და უმდიდრესნი მხოლოდ იმით განსხვავდებოდნენ ღარიბ გლეხობისაგან, რომ ამ ვაჟ-ბატონებს ბატონ-ყმობის მიერ მინიჭებულ ძალ-მომრეობით, ან კაპიტალის მეოხებით შეეძლოთ იმავე გლეხობისათვის ძალა დაეტანებინათ და თავისს სასარგებლოდ ემუშავებინათ.—დღეს კი მანქანები ხნავენ, სთესენ, მკიან, ჰლეწენ, ჰფქვავენ... და ყველა ეს 10, 60 და 100-ჯერ უფრო ჩქარა კეთდება, ვიდრე წინად კეთდებოდა. ხოლო რაც შეეხება თვით მეურნეობას, მოსავლის ნაყოფიერებასა და მცენარეთა სხვა და-სხვაობას—მოვაგონებ მკითხველს 1893 წელს „ივერია“-ში დაბეჭდილ ფელეტონებს ინგლისურ მეურნეობის შესახებ. იქიდგანა სჩანს, რამდენად ნაყოფიერია აწინდელი ინტენსიური კულტურა.

5. როგორ მოგზაურობდნენ, ერთმანეთს როგორა ჰხვდებოდნენ?—სწორედ ისე, როგორც დღევანდელ სპარსეთში: ან ცხენით, ან კიდევ ურმით და მოუხეშავ ფურგუნით, ამასთან დარსა და კარგს გზაზედ დღეში 10—12 ვერსტსაც ძლივს გადიოდნენ. ედინბურგიდგან ლონდონამდე მისვლას 5—7 დღე უნდებოდნენ. ეხლა?—ეხლა რკინის გზას ათასობით გადაჰყავს ხალხი ერთი ადგილიდგან მეორეზედ, ათი და ასი-ათასს ფუთობით ეზიდება საქონელს იქ, სადაც 100 წლის წინად ცხენები და ხარები რაღაც 500—1000 ფუთს ძლივს მიათრევდნენ. იმავე ედინბურგიდგან ლონდონამდე რკინის გზას გადაჰყავს ხალხი და ეზიდება საქონელს 7—8 საათში. ველოსიპედმა, ამ საერთო შრომით გამოგონილმა მანქანამ *), ქვეითა კაცი გადააქცია საუკეთესო მატარებლად, რომელიც სისწრაფით ყარაბაღულსა და არაბულს მატარებელსაც-კი არ ჩამოუვარდება.

გემები? გემებმა თითქმის სრულიად მოსპეს შორი მანძილი. დედამიწის შემოვლას საუკუნის დასაწყისსას კაცი 9-დგან 16 თვემდე უნდებოდა, ეხლა 45—60 დღესაც ძლივს უნდება. ცხელი ქვეყნების ხილი წინად მეტად იშვიათი საშოვარი,

---

*) დღევანდელი ველოსიპედი ბავშვის სათამაშოდგან წარმოსდგა. ველოსიპედის განკარგებისა და მოწყობის საქმე რამდენიმე ასის ტეხნიკოსისა და მუშის შრომის ნაყოფს შეადგენს.

ქალიშვილები-კი გარიყულები დარჩებიან, რადგანაც გადიდებული ფასის შეტანა არ ძალუძთ. ამასთანა შედეგი პირდაპირ ანდერძის დარღვევა იქნება.

მართალია, სწავლების ფასი წელიწადში 30 მან. და პანსიონში შესატანი 180 მან. ბევრი არ არის და მომატება აუცილებელია, მით უმეტესად, რომ პანსიონში შენახვა თითოეულისა ითხოვს 40 მანეთზედ მეტს(?), მაგრამ მომატება ისე აწონილ-დაწონილი უნდა იქნეს, რომ საწყალთა ქალიშვილები სასწავლებლის გარედ არ დარჩნენ, ე. ი. გამგეობამ წინადვე გარდაწყვეტილად უნდა მიიღოს ის აზრი, რომ ყველა საწყალ თ-დ აზნაურთა და მოხელეთა ქალიშვილები ან სრულიად იქმნენ სწავლის ფასიდგან განთავისუფლებულნი, ან-და ფას დაკლებით იქმნენ მიღებულნი. სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ქ-ნი სოფიო ს. განსევგიჩისა, რომელმაც ასეთს წარმატების გზაზედ დააყენა ეკონომიური მხარე სასწავლებლისა, და მისნი თანამშრომელნი გამგეობის წევრნი საქმის ყოველსავე გარემოებას ღრმად დაუკვირდებიან და ღარიბ მშობელთა ქალიშვილებს მანუგეშებელ დედებად მოევლინებიან.

ნადიკვრელი

# უცხოეთი

## ინგლის-ტრანსვაალის ომი.

მგლოვიარე ინგლისელები დიდად განცვიფრებულები არიან, რომ კიტჩენერი ამ ბოლოს დროს სულ ერთთავად უცნაურს ამბებს იუწყება; იგი იტყობინება, მაგალითად, რომ ბურები იმარჯვებენ, ინგლისელებს მატარებლებს ართმევენ, ინგლისის პატარ-პატარა რაზმები ტყვეთ მიჰყავთ და სხ. და კარგს-კი არასოდეს არ იუწყება. კიტჩენერი ბურებს უჩივის, რომ ამათ პიეტერობურგიდგან ინგლისელნი ქვეშევრდომნი განსდევნეს, თითქოს იგივე დანაშაულობა ინგლისელებს არ ჩაედინოთ და ბურების დედაკაცები და ბავშვები თავისს საცხოვრებელ სახლებიდგან და სოფლებიდგან ათასობით არ გაედევნოთ, ღვთის ამარად არ დაეყაროთ. კიტჩენერის ამ საჩივრიდგან ნათლად სჩანს, რომ ჩრდილო და დასავლეთ ტრანსვაალის ქალაქები თითქმის ყველა ბურების ხელშია. ამ ადგილებში ინგლისელნი განდევნილები არიან, ბურების რკინის გზის მატარებლები დადიან, ბურების ადმინისტრაცია და პოლიცია განაგებს ყველას. ამის შემდეგ ეპატიებათ-და განა ინგლისელებს, რომ ბურები ყაჩაღობენ და ძარცვა-გლეჯით გამოდიან, ხმას ავრცელებენ? კაპის ახალშენის გუბერნატორის გამოცვლამაც სულ სხვა რიგად იმოქმედა აფრიკანდერებზედ: იგინი ახლა უფრო მეტს უკმაყოფილებას აცხადებენ, ვიდრე დღემდის აცხადებდნენ.

— როგორც უკანასკნელ წყაროებიდგანა სჩანს, ინგლისის მხედრობისა და ზოგიერთა ქალაქებში თავმოყრილ ჩაკეტილ ინგლისელების მდგომარეობაც საზარელი თურმე: სანოვაგე დღითი-დღე ძვირი საშოვარი ხდება, და თუ სადმე იშოვება, ისიც სამხედრო მთავრობის ნება დაურთველად ყიდვა შეუძლებელია თურმე; ამის გამო, ინგლისელები ბურების ცოლ-შვილს, რომლებიც ზოგიერთა ბანაკში ჰყავთ მომწყვდეული, საჭმელს საკმარისს აღარ აძლევენ, ავიწროვებენო და სხ. ის თითქოს საკმარისი არ იყო, რომ ომმა ყველაფერი შეაყენა და შეჰყინა, კიტჩენერმა ამ ბოლოს დროს ხვნა-თესვაც თურმე სრულიად აჰკრძალა და მხედრობა თუ ადგილობრივნი მცხოვრებნი გარედგან შემოტანილ ხორბლით-და იკვებებიან, რომელსაც ბურები ხშირად გზაზედვე სტაცებენ. რითი აიხსნება კიტჩენერის ასეთი განკარგულება, თუ არ იმითი, რომ უზომოდ სასტიკი და ბოროტი კაცია იგი; სუდანის ექსპედიციის დროს, მაგალითად, ტყვე დერვიშებს (სასულიერო პირნი არიან) ზარბაზნებზედ მიაბამდა ხოლმე და ისე ჰხვრეტდა, ისე რომ კაცი არ გადურჩა ცოცხალი. კიტჩენერს სამხრეთ აფრიკაშიაც იგივე სწადიან და ამისათვის გამოსცა სასტიკი კანონი ყველას და ყველაფრის განადგურებისა. აი, კიდევ ერთი მაგალითი კიტჩენერის სასტიკობისა. მებრძოლ ბურების ცოლ-შვილსა და ნათესავებს, რომლებიც ინგლისელებს ბანაკში ჰყავთ, ახლა ნახევარ ულუფას-და აძლევენ იმ აზრით, რომ შიმშილი შეაწუხებთ და თავისებს დამორჩილებას ურჩევენ. ეჭვი არ არის, თავგამოდებული ბურების ქალები ამას არ იზამენ და შიმშილით ამოწყვეტას ირჩევენ, რომელიც ყოველგვარს სხვა სასჯელს აღემატება. და ამისი მიზეზი-კი იგივე კიტჩენერია.

— „Standard“-ის ბრიუსელელი კორრესპონდენტი იუწყება: ბრიუსელში ბურების ყველა წრეები დარწმუნებულნი არიან, რომ დელარეი მალე უთუოდ ნატალში გადავა და ლუი ბოტა კიდევ დელაგოა-ბაის რკინის გზას ჩაიგდებს ხელშიო. ამბობენ აგრეთვე, რომ ამიერიდგან პორტუგალიის ნეიტრალიტეტს აღარ შეიწყნარებენო.

— ლისაბონიდგან ატყობინებენ „Berliner Tageblatt“-ს: „მიმშველი ჯარი დღეს იქმნა ლორენცო-მარკეზეში გაგზავნილი“. ეს გარემოება ნათლად ამტკიცებს, რომ ლუი ბოტას მართლა განუზრახავს დელაგოას რკინის გზა ხელთ იგდოს და ინგლისელებს გზა შეუკრას. მაგრამ თუ ასე მალე ამოდენა შიშს აჰშვებდა ინგლისელებსა და მიმშველს ჯარს პორტუგალიასაც გააგზავნინებდა, ეს-კი ცოტა ვერაფერი სასიქადულოა ინგლისელებისათვის,

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

გაზეთები ერთის ამერიკელის რეპორტერის ამბავს გადმოგვცემენ. გაუგონია-რა, რომ რომელიღაც მკურნალს ბოროტ-მოქმედება ჩაუდენია სულით-ავადმყოფთა საავადმყოფოში, რეპორტერს განუზრახავს ასეთ საავადმყოფოს დაწვრილებით გაცნობა და იქაურის წესების გაგება. ამ აზრით ჩაუცვამს უცნაური ტანისამოსი, მისულა პოლიციის ბიუროში და დაუწყვია იქ სულით ავადმყოფივით ყვირილი და ღრიალი. პოლიციელთ ვერაფრის გულისათვის ვერ დაამშვიდეს, ამიტომ აიღეს და ძალად ავადმყოფი მახლობელს საგიჟეთში გაგზავნეს. ჟურნალისტსაც ეს უნდოდა. საავადმყოფოში შესაფერი ზომები მიიღეს ავადმყოფის დასამშვიდებლად. მალ-მალ ცივსა და ცხელს წყალს ასხამდნენ თავსა და ტანზედ, საჭმლის მაგიერ სასაქმებელს აძლევდნენ და სხვა. მთელი 24 საათი ძალად ავადმყოფს ერთი წუთითაც-კი მოსვენება არ მისცეს და თვალი არ მოახუჭინეს. 24 საათის შემდეგ მოსამსახურეებმა დაავლეს ხელი და საოპერაციო დარბაზში შეიტანეს, სადაც უკვე მრავალი მკურნალი შეკრებილიყო. „ამ კაცს საოცარი იარა გასჩენია ტვინში. —უთქვამს მთავარ-დოსტაქარს,—ამ საათში ოპერაცია უნდა მოვახდინოთ და თავის ქალა ავაცალოთ“. საწყალ რეპორტერს შიშისაგან სული შეჰხუთოდა. „უკაცრავად! —ძლივს წამოულუღლუღნია,—მე სულით ავადმყოფი არა ვარ, რეპორტერი ვარ გაზეთისა...“—„ჩვენ კარგად გიცნობთ, ვინცა ბრძანდებით, დაცინვის კილოთი მიუგია მკურნალს,—ამიტომ ნება მოგვეცით გაგეცნოთ ჩვენი საავადმყოფო და თქვენს თავზედვე გამოგეცადნათ ყველა ის, რაც აქა ხდება. რაკი გულის წადილი აისრულეთ, ეხლა საითაც გნებავთ, იქით მიბრძანდითო“.

* * *

იტალიანური გაზეთები დაწვრილებით ამბებს გადმოგვცემენ ამას წინად დაბრუნებულ ჰერცოგის აბრუცკისა და კაპიტანის კანიის ექსპედიციის შესახებ. ამ ექსპედიციის შესახებ წინადაც გვქონდა დაბეჭდილი ცოტა რამ. უფრო საინტერესოა კაპიტანის კანიის მოგზაურობა, როდესაც იგი ჰერცოგის საზამთრო სადგომს დაჰშორდა და მარხილებით ჩრდილოეთისაკენ გაუდგა გზას. ამ მოგზაურობამ გასტანა 95 დღე, ე. ი. სამ თვეზედ ცოტა მეტი. გაუდგა გზას კანიი 19 თებერვალს, ხოლო დაბრუნდა მაისის გასულს. იგი ნანსენზედ ბევრად უფრო დაუახლოვდა პოლიუსს. ტემპერატურა ჩვეულებრივ—43—47 იყო (ცელსიით), ერთხელ—52 გრადუსამდინაც ავიდა. ტყავის ტანისამოსი ქვასავით გაუმაგრდათ მგზავრებს. ძილი სულ არ შეიძლება, მხოლოდ განუწყვეტელმა მოძრაობამ დაიხსნა მგზავრები სიკვდილისაგან. გასაკვირველი იყო, კანიის სიტყვით, ძაღლების ღონე და სიმაგრე. სიცივეს საოცრად იტანდნენ თურმე. ძაღლები რომ არა ჰყოლოდათ, მგზავრები ცოცხლები ვერ დაბრუნდებოდნენ. ესევე ძაღლები ბოლოს საკვებად გამოადგათ მგზავრებს. თუმცა ძალიან უფრთხილდებოდნენ თან წაღებულ სურსათს, მაგრამ ბოლოს მაინც შემოაკლდათ. იძულებული გახდნენ რამდენიმე ძაღლი დაეკლათ და უკანასკნელ კვირებში იმით ესაზრდოვნათ. უკან დაბრუნებისას დიდი ტანჯვა-წვალება გამოუვლიათ კანიისა და იმის მეგობრებს. საოცრად მოიქანც-მოიღალნენ, ზოგი სულითაც დაეცა; ახლოვდებოდა ზაფხული და ეშინოდათ თოვლს დნობა არ დაეწყო; მაშინ სიარული მარხილებით შეუძლებელი შეიქმნებოდა. წამ-და-უწუმ ხან ერთი ვარდებოდა წყალში, ხან მეორე. ბოლოს, აუწერელ ტანჯვის შემდეგ, მიაღწიეს ჰერცოგისა და იმასთან დარჩენილთა ბინას. სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. ჰერცოგს ყველანი დაღუპული ეგონა.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

21 იანვარი

**პეტერბურგი.** 20 იანვარს, ინგლისის დედოფლის დასაფლავების დღეს, პეტერბურგელ ინგლისელთა ეკკლესიაში გარდახდილ იქმნა წირვა. წირვის დაწყებამდე მობრძანდნენ: მისი იმპერატორებითი უდიდებულესობა ქვრივი დედოფალი და პეტერბურგში მყოფი დიდი მთავრები და მთავრინები—ყველანი სამგლოვიარო ტანისამოსით, აგრეთვე სასახლის მოხელენი და სადიპლომატო კორპუსი. მათ მიეგება ინგლისის ელჩი საელჩოს მოხელეებით.

**ლონდონი.** განსაკუთრებული სამხედრო ხასიათი სამგლოვიარო პროცესსიისა აღმოჩნდა მაშინ, როდესაც ნორფოლკის ჰერცოგმა ნიშანი მისცა და რობერტსის ჯარები ადგილიდგან დაიძრნენ. ყველა ჯარის-კაცთ მარცხენა სახელოზედ სამგლოვიარო ნიშანი ჰქონდათ გაკეთებული. ყველაზედ უკეთესი სანახავები იყვნენ ინდოელთა საახალშენო ჯარები, რომელნიც თავიანთის ლამაზის ტანისამოსით პროცესსიას წინ მიუძღოდნენ. ურიცხვ ჯარების უკან მიდიოდნენ ზღვაოსნები. შემდეგ მიდიოდნენ უცხოელი საზღვაო აგენტები და უმთავრესი შტაბი რობერტსის მეთაურობით. ჰერცოგი ნორფოლკისა ცხენით მიუძღოდა წინ სასახლის წარჩინებულთა ბრწყინვალე ჯგუფს. 18 ფლიგელ-ადიუტანტი სამგლოვიარო ლაფეტს მისდევდა, რომელზედაც კუბო ესვენა, თეთრი სუდარით გადაფარებული.

---

ყავა და ჩაი, შაქარი და შოკოლადი, ანანასი და ბანანი, რასაც წინად ევროპის მეფეთა და დიდკაცთა სუფრაზედ იშვიათად შეჰხვდებოდა კაცი, დღეს ხელ-მისაწდომი შეიქმნა უღარიბეს მცხოვრებთათვის ჩრდილოეთის მივარდნილ და მიყრუებულ ადგილებშიაც-კი.

6. როგორა სწავლობდნენ, რასა კითხულობდნენ და ვის შეეძლო სწავლა-განათლების მიღება 1801 წელს? სწავლობდნენ მხოლოდ თავად-აზნაურთა, მდიდართა და სამღვდელოთა შვილები. წერა-კითხვის სწავლება მშრომელ ხალხისათვის გასაკიცხ საქმედ ითვლებოდა, ბევრგან საშიშოდაც მიაჩნდათ. მთელს ევროპაში ხელის საბეჭდავებით ოციოდ-ორმოციოდ ჟურნალსა და გაზეთს ჰბეჭდავდნენ რამდენსამე ათასს ცალად. წიგნები და გაზეთები მხოლოდ მდიდართა გასართობს შეადგენდა; წიგნთ-საცავებსა და სამკითხველოებს თითოს, იშვიათად ორ-ორს თუ შეჰხვდებოდა მაშინ კაცი სატახტო და საუნივერსიტეტო ქალაქებში. ასეთსავე იშვიათ რამეს შეადგენდა სკოლა.

საუკუნის დასასრულს—კულტურულ ერთა უმრავლესობისათვის სახალხო სკოლა წმიდა-წმიდათად გარდაიქცა; სკოლაში სიარული სავალდებულო შეიქმნა; საშუალო სწავლა-განათლებისა და სატეხნიკო სკოლები ათასობით დაარსდა; თითო წიგნი და გაზეთი ხშირად მილიონ ცალად იბეჭდება; სიიაფით წიგნები და გაზეთები უღარიბესთათვის ხელ-მისაწდომი შეიქნა; იაფ-ფასიან გამომცემლობას მილიონ მანეთობით მოაქვს სარგებელი *); წიგნთ-საცავები და სამკითხველოები მთავრობისა, საზოგადოებებისა, ქალაქებისა და კერძო კაცებისა პატარა და მიყრუებულ ქალაქებშიაც-კი გაჩნდა.

7. როგორ სწარმოებდა აღებ-მიცემობა საქონლისა, აზრ-შეხედულებისა, ამბავ-ცნობებისა?—სწორედ ისევე, როგორც დღეს მეზობელ სპარსეთსა და მცირე აზიაში სწარმოებს: საქონელი ხმელეთზედ ცხენებითა და აქლემებით გადაჰქონდათ საალებ-მიცემოდ, ხოლო ზღვაზედ—უშნო ფილიუგებითა და იალქნიან ხომალდებით... დღეს-კი ორთქლ-მავალი ბუმბულივით მიაქანებს მრავალ საქონელთან ერთად თვით ამ ცხენებსა და აქლემებს; ხოლო ტრანსატლანტიის გოლიათი გემი საზღაპრო მდევივით მიათრევს ათასს ფილიუგას თავისის ტვირთით. რაც შეეხება კორესპონდეციას, წერილების გზავნა-მიღებას, იმ პატრიარქალურ დროს მხოლოდ გვირგვინოსანთ, მინისტრებსა და მეტად მდიდართ შეეძლოთ რამდენადმე წესიერად და სწრაფად (ცხენის ფოსტით) წერილების გზავნა და მიღება. საფოსტო შემოსავალი სახელმწიფოთა ხარჯთაღრიცხვებში მოხსენებულიც-კი არ იყო. შიკრიკმა და სწრაფლ-მოსიარულემ, ფოსტამა და ცხენმა მოედანი ორთქლსა და ელექტრონს დაუთმო. მიწერ-მოწერა ყველასათვის შესაძლებელი შეიქმნა; წერილის გასაგზავნ გადასახადის სიმცირისა გამო, წერილის გამგზავნელთა რიცხვი დღითი-დღე იზრდება; ფოსტის შემოსავალმაც იმატა: ინგლისში, მაგალითად, შარშან, 1900 წელს, ფოსტას სრული შემოსავალი 142 მილიონი მანეთი ჰქონდა, ხოლო წმინდა მოგება—24 მილიონი მანეთი. ამავე წელს გაიგზავნა ფოსტით 2 მილიარდი 245 მილიონი წერილი, 866 მილიონი წიგნი და გაზეთი, 90 მილიონი დეპეშა, 74 მილიონი ნივთი...

ეს, გაკვრით აღნიშნული, აღმოჩენანი და გამოკვლევანი მოგვივლინა და ცხოვრებაში გამოსაყენებელი ჰყო განვლილ საუკუნის მეორე ნახევარმა. გაუზვიადებლად შეგვიძლიან ვთქვათ, რომ მე-19 საუკუნემდე ევროპიელი ოსმალოსა, ან სპარსელისაგან წარმოების საშვალებებით, შეიარაღებითა და ნავოსნობით კი არ განსხვავდებოდა, არამედ მხოლოდ იმით, რომ ინგლისისა, იტალიისა, საფრანგეთისა, გერმანიისა და სხვა ქვეყნის მდიდარ კლასთა უმნიშვნელო უმცირესობის შორის ჰღვიოდა და დღითი-დღე იზრდებოდა ის ლიტერატურა, ის სათავენი მეცნიერებისა, რომელთაგან გაიშალა და აღყვავდა მე-19 საუკუნის მძლეთა-მძლე ლიტერატურა და მეცნიერება. კარგად ვიცით ისტორიიდგან, რომ უწინ ფოლადი დამასკისა, აბრეშუმი ბაღდადისა *), ქსოვილი და საღებავი სპარსეთისა ისევე ცნობილი და განთქმული იყო დასავლეთ ევროპაში, როგორც ხანჯალი ტოლედოსი, ხავერდი ვენეციისა, აბრეშუმი ლიონისა. თუ ოსმალეთისა და სპარსეთის მკვიდრთა უმრავლესობა იყო წინად და არის დღესაც წერა-კითხვის არმცოდნე, დასავლეთ ევროპის ხალხთა უმრავლესობაც ხომ წინად ასევე უვიცი და არ მცოდნე იყო წერა-კითხვისა. მარტო ისიც საკმაოა გავიხსენოთ, რომ პრუსიამ, შტეინის სამინისტროს მმართვა-გამგეობის დროს, პირველად მოაწყო წერა-კითხვის სახალხო სკოლა რობერტ ოვენის სისტემაზედ. სხვა სახელმწიფოებმა (შეერთებულ შტატებისა და შვეიცარიის გარდა) მხოლოდ საუკუნის მეორე ნახევარში შემოიღეს სახალხო სკოლა.

წარმოებით, შეიარაღებითა და უვიცობით თანასწორნი, დასავლეთი და აღმოსავლეთი განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან პოლიტიკურის ძლიერებით. ოსმალეთი მე-18 საუკუნის დასასრულ იმდენად ძლიერი იყო, რომ მამაცად უხვდებოდა მოკავშირეთა—ავსტრიისა და რუსეთის—შეერთებულ ჯარს, ხოლო ოსმალელი და ტუნისელი ზღვის ყაჩაღნი ჰბრძანებლობდნენ და ბატონობდნენ ხმელთა-შუა ზღვაზედ ჯერ ისევ წარსულ საუკუნის მეოცე წლებში.

ვ. მარველი

(შემდეგი იქნება)

---

*) „Figaro“-ს 1898 წელს 1,700,000 ფრანკი წმინდა მოგება ჰქონდა. „Daily News“-ი მიმართულების გამოცვლამდე წელიწადში 400,000 მანეთზედ მეტს წმინდა მოგებას იძლეოდა. შეგიძლიანთ წარმოიდგინოთ, რა მოგება ექმნებათ „Le Petit Journal“-სა და „Daily Mail“-ს, რომელთა თვითეული ნომერიც ყოველ დღე მილიონობით სადდება!..

*) დამასკიცა და ბაღდადიც ქალაქებია მცირე აზიაში.

**ლონდონი.** სამგლოვიარო პროცესსია ჰოსპორტიდგან დილის 9 საათზედ დაიძრა. ამ დროს მილიონი ხალხი, ქალაქებიდგან და პროვინციიდგან მოსული, გამწკრივებულ ჯარების უკან ირეოდა. ამინდი მშვენიერი იყო, მაგრამ ციოდა. პროცესსიის სიგრძე სადგურ ვიქტორიიდგან პადდინგტონამდე ორნახევარ მილს უდრიდა.

**ლონდონი.** საგანგებო მატარებელი, რომელშიაც მეფე და მისი ოჯახი ბრძანდებოდნენ და დედოფლის გვამი ესვენა, მოვიდა სადგურ ვიქტორიაში. აქ გამოეთხოვნენ გარდაცვალებულის გვამს უმაღლესნი გვამნი და მათ შორის დიდი მთავარი ხელმწიფე მემკვიდრე მიხეილ ალექსანდრეს ძე. გვარდიის 12 ჯარის-კაცმა კუბო ვაგონიდგან გამოასვენეს და ლაფეტზედ დაასვენეს; წარჩინებულმა პირებმა კუბოზედ გვირგვინი, სკიპტრა და ნიშნები ინგლისის თვით-მპყრობელობისა და დაჭრილთა უმთავრესი ორდენი დასდვეს. თორმეტის ნახევარზედ მატარებელი პადდინგტონისაკენ დაიძრა.

**პეკინი.** ელჩებმა დაადგინეს პირველი სხდომა ჩინეთის რწმუნებულებთან ერთად 23 იანვარს მოახდინონ; ელჩები დამნაშავე მანდარინების დასჯას მოითხოვენ. ლიხუნჩანგს იმპერატორის წერილი მოუვიდა, რომელშიაც მას ბრალსა სდებენ, რომ პაოტინფუში სიკვდილით დასჯა მან გამოიწვია.

**პრეტორია.** პრეზიდენტად ნამყოფმა პრეტორიუსმა გენერალი ბოტა ინახულა და დაბრუნდა. მშვიდობიანობის ჩამოგდების ცდამ უნაყოფოდ ჩაიარა, რადგანაც ბოტამ თურმე განაცხადა, რომ ამაზედ ლაპარაკი მეტიაო და ამ საგნის შესახებ კვლავ ლაპარაკის ჩამოგდება სრულიად აუკრძალა.

**ვაშინგტონი.** მინისტრთა კაბინეტის სხდომაზედ გეი შეეხო ჩინეთის საქმეებსა და სთქვა, რომ რწმუნებულებს ვერ მიჰყავთ საქმე ისე სწრაფად, როგორც მოველოდით; ამის გამო ბევრი საშიში საკითხი აღიძრა: მაგალითად, უნდა გაირჩეს იმნაირი კითხვები, როგორც, მაგალითად, ჩინეთში ამერიკელი ჯარების მომატება და სადგომების შეძენა უფრო ხანგრძლივად ჯარების ჩასაყენებლად.

**ლონდონი.** აქ ჯერ დაბეჯითებითი ცნობები არ მოსულა, რომ ლიხუნჩანგი გარდაცვლილიყოს.

**შანხაი.** ტაოტაი შენი უარსა ჰყოფს იმ ამბავს, რომ ლიხუნგჩანგი ძრიელ ავად იყოს; ტიანძინიდგან-კი იტყობინებიან, რომ ლიხუნჩანგის გარდაცვალების შესახებ იქ ხმა გავრცელებულა.

**ლონდონი.** სამგლოვიარო ლაფეტის უკან ლეიბ-გვარდიის სერჟანტს, ვეებერთელა ტანის კაცს, სამეფო დროშა მიჰქონდა; შემდეგ მიდიოდა მეფე, რომელსაც მარჯვნით ედგა იმპერატორი ვილჰელმი და მარცხნით კონნაუტის ჰერცოგი; შემდეგ ცხენებით მიდიოდნენ დანარჩენნი უმაღლესნი გვამნი სამ-სამი ერთად; ერთ რიგში იყვნენ დიდი მთავარი ხელმწიფე მემკვიდრე, ავსტრიის ერც-ჰერცოგი ფრანც-ფერდინანდი და შვეციისა და ნორვეგიის ტახტის მემკვიდრე; მეორე მწკრივს შეადგენდნენ გერმანიისა, რუმინიისა და საბერძნეთის ტახტის მემკვიდრენი. გერმანულ პოლკების დეპუტაციის შემდეგ მიდიოდა ეტლი, რომელშიაც ბრძანდებოდა დედოფალი თავისის სამის ქალიშვილით, მეორე ეტლში ბრძანდებოდა ბელგიის მეფე დედოფლის ვიქტორიას სამის ქალიშვილით, შემდეგ დანარჩენი პროცესსია მიდიოდა. სამგლოვიარო პროცესსიის ბოლოში იდგა ლეიბ-გვარდია. სამგლოვიარო მატარებელი $1^1/_4$ საათზედ მივიდა პადდინგტონის სადგურზედ; იქიდგან ნახევარ საათის შემდეგ ვინძორისაკენ დაიძრა, სადაც $2^1/_2$ საათზედ მივიდა.

**პეტერბურგი.** ფინანსთა მინისტრის საბჭოს წევრი კობეკო სახელმწიფო საბჭოს წევრად იქმნა დანიშნული.

დიდი მთავარი ვლადიმერ ალექსანდრეს ძე და დიდი მთავრინა ელენე ვლადიმირის ასული 20 იანვარს გააგაში წავიდნენ, რომ ნიდერლანდიის დედოფლის ვილჰელმინას ქორწინებას დაესწრნენ.

20 იანვარს გულის სიმდაბლისაგან უცებ გარდაიცვალა სამხედრო სამკურნალო აკადემიის უფროსი მედიცინის დოქტორი ტაინი სოვეტნიკი ვიქტორ ვასილის ძე პაშუტინი.

**ვინძორი.** წმინდა გიორგის მშვენიერს პატარა ეკკლესიაში, რომელიც პატარა ტაძარსა ჰგავს, შეიკრიბნენ სამეფო გვარეულობის წევრნი, ინგლისის დიდ-კაცობა, ყველა მინისტრები, ბევრი მაღალ-წარჩინებული პირი, საზოგადოებათა პალატის წევრნი მეუღლეებითურთ და ყველა წრეების საუკეთესო წარმომადგენელნი. სამღვდელოება კუბოს ეკკლესიის კარებში დახვდა და კატაფალკამდე მიაცილა, რომელიც შუაგულ ეკკლესიაში იყო გამართული. კუბო ყვავილებით მორთულს ბალდახინზედ დაასვენეს. წირვა გარდახდილ იქმნა ინგლისურ ეკკლესიის წესით; წირვის დროს გალობდნენ ჩაიკოვსკისა, გუნოს და შპორის ჰიმნებს; წირვა გადაიხადეს ვინჩესტერის ეპისკოპოსმა და ვინძორის დეკანოზმა, ხოლო ანდერძი აუგო კენტენბერის არქიეპისკოპოსმა; შემდეგ სიჩუმე ჩამოვარდა, რომელსაც არღვევდა წყნარი ქვითინი. შემდეგ წარმოდგა ჰეროლდი და ხმა-მაღლა წაიკითხა განსვენებულ დედოფლის ტიტული. წირვა დასრულდა ბეთხოვენის სამგლოვიარო მარშით. შემდეგ სამეფო ოჯახობა და სხვა უავგუსტოესი პირნი ვინძორის სასახლეში წავიდნენ. დედოფალ ვიქტორიას გვამი ორშაბათამდე ესვენება წმ. გიორგის ეკკლესიის სამლოცველოში, შემდეგ წაასვენებენ ფროგმორში დასაკრძალავად.

**რომი.** გაზ. „Patria“-ს სიტყვით, მიზეზი მთავრობის მიერ ანარქისტების წინააღმდეგ მიმართულ კანონ-პროექტის წარდგენისა იყო ამას წინად მომხდარი დაპატიმრებანი.

**ვინძორი.** როდესაც სამგლოვიარო პროცესსია მოემზადა რკინის გზის სადგურისაკენ წასასვლელად, ლაფეტში შებმული ცხენები, რადგანაც დიდხანს იდგნენ ქარსა და სიცივეში, ველარ დაიძრნენ ადგილიდან. ამ გარემოებამ მეტად ცუდად იმოქმედა მეფეზე. ნორფოლის ჰერცოგმაც აღარ იცოდა, რა ექნა. მაშინ ზღვაოსანთ მოისურვეს დახმარების გაწევა: ცხენები სწრაფად გამოუშვეს და ლაფეტი წმინდა გიორგის ტაძრამდე ხელით მიიტანეს.

**რომი.** სენატი. კანავერომ ილაპარაკა იმ საკითხის შესახებ, რომელიც ჰუმბერტოს მოკვლას შეეხებოდა და მოსთხოვა მთავრობას განმარტება იმისა, თუ როგორ ჰფიქრობს მოაწყონ მეფის და სახელმწიფო დაწესებულებათა დაცვის საქმე. ვისკონტი-ვენოსტამ განმარტა, რომ სახელმწიფოებთან ანარქისტთა შესახებ ხელშეკრულობის დადების დროს ყოველთვის თხოულობდა, რომ ანარქიულ ბოროტ-მოქმედებანი ჩაეთვალათ როგორც დანაშაულობანი ჩვეულებრივ უფლების წინააღმდეგ. სარაკკომ სთქვა, მთავრობა ყოველნაირად ეცდება, რათა მიღებულმა ღონისძიებებმა მიზანს მიაღწიონო. იუსტიციის მინისტრმა ის აზრი გამოსთქვა, რომ ანარქიულ ბოროტმოქმედებათ არავითარი პოლიტიკური საგანი არა აქვთ, ისინი მხოლოდ საზოგადოებრივ წეს-რიგის დამხობას სცდილობენ. მინისტრმა შეიტანა პროექტი ანარქისტთა ბოროტ-მოქმედების წინააღმდეგ და მოითხოვა, რომ ეს პროექტი მაშინვე განეხილათ. კანევარო კმაყოფილდება მთავრობის დაპირებით. სხდომა დაიხურა.

**ნიუ-იორკი.** პეკინიდგან დეპეშით იუწყებიან, რომ ვალდერზეე სიცრუეთ სთვლის იმ ხმებს, ვითომც იმას შეედგინოს პეკინიდგან ჯარების გამოყვანის გეგმა იმ შემთხვევისათვისაც-კი, თუნდაც რომ ჩინეთმა დასაჯოს დამნაშავენი. მე მხოლოდ —ამბობს ის— შედგენილი მაქვს პირველ-დაწყებითი გეგმაო. იმან საიდუმლოდ მოითხოვა გამოსთქვან აზრი ჩინეთიდგან ჯარების გაყვანის შესახებ ელჩების დამცველ 2,000 კაცისა და რკინის გზის დამცველ 8,000 კაცის გარდა. სხვა დასხვა აზრისანი არიან დასარჩენ ჯარის რაოდენობის შესახებ. კონჯერი და ჩაფფი ამბობენ, რომ საკმარისია ელჩების დასაცველად დატოვებულ იქმნას 100 კაცი ამერიკის ჯარისა. ჩაფფი იმ აზრისაა, რომ თუ რკინის გზების დასაცველად დაარსდა საერთაშორისო სადარაჯო რაზმი, შეერთებულმა შტატებმა მონაწილეობა უნდა მიიღოს ამ საქმეში და ამერიკის ინტერესების დასაცველად დასტოვოს საჭირო ჯარი. მაგრამ ამასთან ჰფიქრობს, რომ ეს ღონისძიება დროებით იქნება. ვალდერზეეს განზრახვა აქვს, მომავალ კვირაში შანხაი-გუანის მეციხოვნე რაზმი დაათვალიეროს.

* * *

## სასამართლოს ცნობები.

ტფილისის სამოსამართლო პალატის პირველ სისხლის სამართლის დეპარტამენტში განსახილველად დანიშნულია შემდეგი საქმეები:

23 იანვარს:

ბრალდებულთა თ. კონსტანტინე და პეტრე წულუკიძეებისა, რომელთაც სასჯელთა დებულების მე 270 მუხ. აღნიშნულ დანაშაულობის ჩადენა ბრალდებათ.

სპირიდონ ახალაიასა, პაცაციასა, ქაჯაიასა, ლუკავასა და ცოცოლავასი, რომელთაც სასჯ. დებ. მე-1549 მუხ. აღნიშნული დანაშაულობის ჩადენის ბრალი ედებათ.

27 იანვარს:

ქ. სიღნაღის ფოსტა-ტელეგრაფის კონტორის უფროსად ნამყოფის კაზნაგულოვისა და მისი თანაშემწის რომანოვისა, რომელთაც სამსახურის დროს ბოროტ-მოქმედების ჩადენა ბრალდებათ.

მიხეილ კალაშვილისა—ქურდობის ჩადენა ედება ბრალად.

ბაგრატ კარსელაძისა, ქურდობა ბრალდება.

ნესტორ უშვერიძისა, რომელსაც კაცის მოკვლის განზრახვის ჩადენა ედება ბრალად.

30 იანვარს:

მურზა ჯანჯღავასი, რომელსაც კაცის მოკვლის განზრახვის ჩადენა ედება ბრალად.

გიორგი მუშკუდიანისა, მკვლელობის ჩადენა ედება ბრალად.

პავლე კობახიძისა, რომელსაც ქურდობის ჩადენა ბრალდება.

დიმიტრი კეზელისა, რომელსაც კაცის მოკვლის განზრახვა ედება ბრალად.

კახუ, სარდიონ, პლატონ და დავით ფალავებისა, რომელთაც კაცის მკვლელობის ჩადენა ედებათ ბრალად.

* * *

# განცხადებანი

ისყიდება ცხრილში გატარებული

ხის ნახშირი

27 და 21 ვერშოკიანი ტომარა 1 მან. და 45 კაპ. საწყობში, ხოლო სახლში მიტანით—1 მან. და 60 კაპ. მსურველთ შეუძლიათ მიჰმართონ სნეჟკოვის კანტორას: ნიკოლოზის ქუჩა, სახლი № 70, ტელეფონი № 567. (3—17—1)

„წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება შემდეგი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| თხზულებანი ვაჟა ფშაველასი | 1 | „ |
| სხივი წარსულისა, ი. გოგებაშვილისა | „ | 5 |
| საარაკო თავ-გადასავალი ტახტის მემკვიდრისა, მისივე | „ | 10 |
| ანტონიოს და კლეოპატრა, შექსპირისა | „ | 30 |
| ამბავნი და მოთხრობანი, თარგ. გრ. ყიფშიძისა | „ | 15 |
| საქართველოს ძველის დროის თავ-გადასავალი | „ | 40 |
| ეკატერინე ბატონიშვილი, ხუსკივაძისა | „ | 5 |
| შ. არაგვისპირელის თხზულებანი | „ | 50 |
| სიტყვიერების თეორია | 1 | „ |
| ანტონ ჭყონდიდელის ქადაგებანი | 1 | 50 |
| ვინ მოიგონა არაყი, ტოლსტოისა | „ | 5 |
| Заслуги грузинскаго монашества Е. К. | „ | 30 |
| Двѣнадцативѣковая борьба | „ | 50 |
| Грузинскіе поэты, Тхоржевскаго | „ | 30 |
| Царица Тамара, М. Джанашвили | „ | 50 |
| Исторія грузинск. церкви, его же | „ | 40 |

открыта подписка на 1901 годъ

на литературный, научный и политическій журналъ

V-й годъ изданія. „ЖИЗНЬ.“ V-й годъ изданія.

Составъ редакціи и постоянныхъ содрудниковъ остается въ 1901 г. тотъ же, что и въ два предыдущіе года.

Журналъ выходитъ **ежемѣсячно** книжками въ размѣрѣ не менѣе 25 печатныхъ листовъ обыкновеннаго формата. Въ каждой книжкѣ помѣщаются иллюстраціи, отпечатанныя на отдѣльныхъ листахъ мѣловой бумаги.

Одна изъ книжекъ журнала 1901 г. будетъ посвящена характеристикѣ XIX столѣтія и будетъ состоять изъ статей по естествознанію, философіи, соціологіи, исторіи, политической экономіи, литературѣ и искусству, при участіи г.г.: **Андреевича, К. Н. Анненкова**, проф. **И. И. Боргмана, А. А. Васильева**, проф. **А. Н. Веселовскаго**, проф. **Ю. С. Гамбарова, П. Н. Ге, М. Горькаго, Л. Ѳ. Кржівицкаго**, проф. **И. И. Лапшина, П. П. Маслова, А. А. Никонова**, проф. **Д. Н. Овсянико-Куликовскаго**, Parvus'a, **В. А. Поссе**, проф. **Н. А. Рожкова, Н. А. Рубакина**, проф. **К. А. Тимирязева**, проф. **В. Ѳ. Тимофѣева, Е. Н. Чирикова** и мн. др.

Книга будетъ иллюстрирована снимками съ картинъ художниковъ XIX в. и портретами ученыхъ.

Въ беллетристическомъ отдѣлѣ журнала принимаютъ участіе слѣдующія лица: М. Альбовъ, Л. Андреевъ, К. Баранцевичъ, И. Бунинъ, А. Вербицкая, Н. Гаринъ, Г. Галина, М. Горькій, Л. Гуревичъ, С. Гусевъ-Оренбургскій, А. Крандіевская, В. Муриновъ, А. Серафимовичъ, Скиталецъ, Б. Степанецъ, В. А. Свирскій, Сѣрошевскій, Н. Тимковскій, А. Федоровъ, М. Цебрикова, Ант. Чеховъ, Е. Чириковъ и др.

Въ научномъ и политическомъ отдѣлѣ „Жизни“ примутъ участіе г. г.: П. Берлинъ, А. Богдановъ, В. Богучарскій, А. Васильевъ, Ю. Гамбаровъ, С. Гарюшинъ, И. Гурвичъ, П. Голубевъ, Д. Жбаковъ, В. Ильинъ, А. Изгоевъ, Инсаровъ, В. Іоновъ, А. Кизеветтеръ, А. Ковровъ. Л. Кржівицкій, И. Лапшинъ, А. Labriola, H. Lagardelle, Е. Лозинскій, П. Масловъ, М. Мензбиръ, Н. Лировичъ, П. Неждановъ, А. Никоновъ, Д. Овсянико-Куликовскій, Н. Окуновъ, Parvus, В. Поссе, Д. Протопоповъ, Н. Рожковъ. Д. Сатуринъ, Е. Смирновъ, Е. Соловьевъ, Ю. Стекловъ, П. Струве, Е. Тарле, К. Тимирязевъ, М. Туганъ-Барановскій, Л. Украинка, Е. Чириковъ и др.

Въ художественномъ отдѣлѣ журнала ближайшее участіе принимаетъ П. Ге, который въ 1901 г. дастъ рядъ статей объ источникахъ русскаго искусства. Статьи эти будутъ иллюстрированны снимками съ картинъ русскихъ и иностранныхъ художниковъ.

**Новые подписчики „ЖИЗНИ“ 1901 г. получатъ безплатно начало повѣсти М. Горькаго: „ТРОЕ“.**

**Годовые подписчики получатъ въ 1901 г. въ видѣ безплатнаго приложенія научно-популярное сочиненіе отдѣльною книгою.**

**Подписная цѣна на годъ** съ дост. и перес. **7 руб. За-границу—10 руб.**

Въ виду заявленій со стороны подписчиковъ, въ нов҄ь допускается разсрочка годовой платы (7 р ) на слѣд. условіяхъ: или 1) при подпискѣ вносится 2 р., къ 1 марта—2 р. и къ 1 іюля—3 р.; или II) при подпискѣ—4 р. и къ 1 іюля—3 р.; или III) при подпискѣ—3 р. и къ 1 мая—4 р. Подписчикамъ, не доставившимъ денегъ въ указанные сроки, высылка журнала пріостанавливается.

Книжные магазины могутъ удерживать съ каждаго годового экземпляра 35 к.; подписка въ разсрочку и по частямъ года отъ нихъ не принимается.

**Главная контора и редакція: С-Петербургъ, Знаменская, 20.**

Редакторъ-издатель **М. С. Ермолаевъ.**

(3—1)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 22-го Января 1901 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხ.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე